სამტრედიის რაიონული სასამართლო
სამტრედია, ძმები ნინუების ქ.N1

საქმე N3/17-22წ. **01.10.2024 წელი**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მის: სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N6

გეგზავნებათ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 22 აგვისტოს დასაბუთებული გადაწყვეტილება;

დანართი: გადაწყვეტილების ასლი ,,09'' ფურცლად;

პატივისცემით,

ანა გაბრიჭიძე

სამტრედიის რაიონული სასამართლოს
მოსამართლის თანაშემწე

საქმე № 3/17-22წ.

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

22 აგვისტო, 2024 წელი ქ. სამტრედია

შესავალი ნაწილი

სამტრედიის რაიონული სასამართლო
მოსამართლე მურთაზ კაპანაძე
სხდომის მდივანი ხათუნა წულაია

მოსარჩელე - გივი ჯულაყიძე
მოსარჩელე - კობა ძიძიგური
მოსარჩელე - დავით ნიკოლეიშვილი
წარმომადგენელი - არჩილ ჭავჭანიძე

მოპასუხე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
წარმომადგენელი - ნატო ჯულაყიძე
წარმომადგენელი - ნორა იანიკოვი

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. **დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა** - ბათილად იქნას ცნობილი:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიეტტის საკრებულოს 2022 წლის 7 თებერვლის N 63.63220386 განკარგულება გივი ჯულაყიძის, დავით ნიკოლეიშვილის და კობა ძიძიგურის მიერ ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის" შექმნაზე უარის თქმის შესახებ.

1.2. ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 თებერვლის სხდომის N4 ოქმი ფრაქცია „განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის" შექმნაზე უარის ნაწილში.

1.3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამადანტო კომისიის 2022 წლის 3 თებერვლის სხდომის N4 ოქმი, ფრაქცია „განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის" შექმნაზე უარის ნაწილში.

1.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 თებერვლის ბიუროს სხდომის N8 ოქმი ფრაქცია „განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის“ შექმნაზე უარის ნაწილში.

1.5. დაევალოს ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქცია „განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის“ დარეგისტრირება.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელეები არიან სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წვრები, 2022 წლის 31 იანვარს მიმართეს წერილობითი განცხადებით მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, ფრაქცია "განვითარებული სამტრედია საქართველოსათვის" რეგისტრაციის მოთხოვნით. მათ მიერ წარდგენილ იქნა კანონით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი, სხდომის ოქმი, წესდება, განცხადება მოსარჩელე დავით ნიკოლეიშვილის მიერ პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დატოვების შესახებ. რაც განხილულ იქნა საპროცედურო, სამანდატო კომისიაზე, საკრებულოს ბიუროზე იქნა დარეგისტრირებული და განხილულ იქნა 2022 წლის 7 თებერვლის სხდომაზე უარი ეთქვათ, რაზეც გამოცემულ იქნა განკარგულება N გ-63.63220386.

სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედო ის გარემოება რომ დავით ნიკოლეიშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე იყო პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, 2021 წლის 3 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის პირველ სხდომაზე პარტია "ერთიანი ნაციონალური მოოძრაობის" წარდგენით არჩეულ წევრებს რეგისტრირებული აქვთ ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". გამომდინარე იქიდან რომ პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობას" წევრების მიერ შექმნილია ფრაქცია, დავით ნიკოლეიშვილი, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია ამავე პარტიის წარდგენით, მისი მონაწილეობით ახალი ფრაქციის შექმნა, წარმოადგენს კანონმდებლობის დარღვევას და და შესაბამისად უარი ეთქვა ფრაქციის რეგისტრაციაზე, რაც უკანონოა და იძულებული არის მომართოს სასამართლოს მათი დარღვეული უფლების დასაცავად.

2. მოპასუხის პოზიცია

2.1. მოპასუხე - სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოდგენლებმა შესაგებლით და სხდომაზე მიცემული განმარტებით სარჩელი არ ცნეს, ვინაიდან სადავო გადაწყვეტილება მიღებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს მათი გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ერთი პოლიტიკური პარტიის **წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ფუფლება არა აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია** და სამტრედიის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N26 დადგენილების 36-ე მუხლის თანახმად, ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება **არ** აქვთ შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამჟამად მდგომარეობით რეგისტრირებულია ორი ფრაქცია 1). ფრაქცია ,,ქართული ოცნება'' და 2). ფრაქცია

,,ერთიანი ნაიონალური მოძრაობა''.

4. ფაქტობრივი გარემოებები

4.1.უდავო ფაქტობრივი გარემოებები

4.1.1. მოსარჩელეები გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური და დავით ნიკოლეიშვილი არიან სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები. 2022 წლის 31 იანვარს მათ წერილობითი განცხადებით მიმართეს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, ფრაქცია "განვითარებული სამტრედია საქართველოსათვის" რეგისტრაციის მოთხოვნით. მათ წარადგინეს სხდომის ოქმი, წესდება და განცხადება მოსარჩელე დავით ნიკოლეიშვილის მიერ პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დატოვების შესახებ.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- 31.01.2022წ.წერილობითი განცხადება (ს.ფ.16).
- 31.01.2022წ. N1 სხდომის ოქმი (ს.ფ 17)
- საკრებულოს ფრაქცია ,,განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის'' წესდება (ს.ფ 19-22)
- დავით ნიკოლეიშვილის განცხადება პარტიის დატოვების შესახებ (ს.ფ 18)

4.1.2. განცხადება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნა 2022 წლის 7 თებერვალს და საკრებულოს წევრებს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაზეც გამოცემულ იქნა განკარგულება გ-63.63220386. აღნიშნულ გადწყვეტილებას წინ უძღოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამადანტო კომისიის 2022 წლის 3 თებერვლის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 თებერვლის ბიუროს სხდომები, რომლებზეც მიღებულ იქნა ანალოგიური სახის გადწყვეტილებები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
- 07.02.2022წ. განკარგულება (ს.ფ.40)
- სხდომის ოქმები(ს.ფ.27-37)

4.1.3. სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედო ის გარემოება რომ დავით ნიკოლეიშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე იყო პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, 2021 წლის 3 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის პირველ სხდომაზე პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარდგენით არჩეულ წევრებს რეგისტრირებული აქვთ ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". ამომდინარე იქიდან რომ პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობას" წევრების მიერ შექმნილია ფრაქცია, დავით ნიკოლეიშვილი, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია ამავე პარტიის წარდგენით, მისი მონაწილეობით ახალი ფრაქციის შექმნა, წარმოადგენს კანონმდებლობის დარღვევას და შესაბამისად უარი ეთქვათ ფრაქციის რეგისტრაციაზე.

4.1.4. არსებული მდგომარეობით სამტრედიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 2 ფრაქცია: ფრაქცია ,,ქართული ოცნება'' – 23 წევრით და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' 5 წევრით. მოსარჩელე **დავით ნიკოლეიშვილი არჩეული იყო პარტია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის''** სიით, ხოლო მოსარჩელეები: გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური - შესაბამისად პარტია „ლელო"-სა და პარტია გახარია საქართველოსთვის

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- მხარეთა ახსნა-განმარტებები

4.1.5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წესდების 3 თავის თანახმად (მუხლი 3.3) გაერთიანების წევრობა ნებაყოფლობითია, ხოლო ამავე წესდების 3.5 მუხლის თანახმად გაერთიანებიდან გასვლა თავისუფალია. გაერთიანების წევრი გაერთიანებიდან გასულად ჩაითვლება მის მიერ განცხადების წარდგენის დღიდან. დავით ნიკოლეიშვილმა პარტიიდან გასვლის შესახებ განცხადება დაწერა 2022 წლის წლის 17 იანვარს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' წესდება (ს.ფ 41-52)
- განცხადება (ს.ფ.18)

4.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

4.2.1. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ **სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.**

6. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

- საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
- ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''
- საქართველოს კონსტიტუცია

6.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რომელიც აუფებს, ცვლის, წყვეტს ან

ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შეაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება, ხოლო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 თებერვლის N 63.63220386 განკარგულება, რომლითაც მოსარჩელეებს გივი ჯულაყიძეს, დავით ნიკოლეიშვილს და კობა ძიძიგურს უარი ეთვათ ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის" რეგისტრაციაზე. მოსარჩელეები ასევე მოითხოვენ დაევალოს ქალაქ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „განვითარებული სამტრედია საქართველოსთვის" დარეგისტრირება. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტების შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა შესაბამისი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან.

6.2. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის თანახმად:

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში.
2. **ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია.**
3. ფრაქციის შექმნის მსურველი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიმუშავებენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის წესდებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან. მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესები და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.
4. **ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები.**
5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ერთ ფრაქციაში.
6. ფრაქციის შექმნა შესაძლებელია როგორც პარტიულ, ისე არაპარტიულ საფუძველზე.

7. დაუშვებელია ფრაქციებად გაერთიანება ეროვნული, რელიგიური, პროფესიული, პირადი ან ტერიტორიული (საცხოვრებელი ადგილის) ნიშნით.

6.3. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელეები გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური და დავით ნიკოლეიშვილი არიან სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები. 2022 წლის 31 იანვარს მათ წერილობითი განცხადებით მიმართეს მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს, **ფრაქცია "განვითარებული სამტრედია საქართველოსათვის" რეგისტრაციის მოთხოვნით.** მათ წარადგინეს სხდომის ოქმი, წესდება და განცხადება მოსარჩელე დავით ნიკოლეიშვილის მიერ პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დატოვების შესახებ.

განცხადება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნა 2022 წლის 7 თებერვალს და საკრებულოს წევრებს უარი ეთქვათ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაზეც გამოცემულ იქნა განკარგულება გ-63.63220386. აღნიშნულ გადწყვეტილებას წინ უძღოდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამადანტო კომისიის 2022 წლის 3 თებერვლის და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 თებერვლის ბიუროს სხდომები, რომლებზეც მიღებულ იქნა ანალოგიური სახის გადწყვეტილებები.

სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედო ის გარემოება რომ დავით ნიკოლეიშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე იყო პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, 2021 წლის 3 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის პირველ სხდომაზე პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარდგენით არჩეულ წევრებს რეგისტრირებული აქვთ ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". გამომდინარე იქიდან რომ პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობას" წევრების მიერ შექმნილია ფრაქცია, დავით ნიკოლეიშვილი, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია ამავე პარტიის წარდგენით, მისი მონაწილეობით ახალი ფრაქციის შექმნა, წარმოადგენს კანონმდებლობის დარღვევას და შესაბამისად უარი ეთქვათ ფრაქციის რეგისტრაციაზე.

6.4. არსებული მდგომარეობით სამტრედიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 2 ფრაქცია: ფრაქცია ,,ქართული ოცნება'' – 23 წევრით და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' 5 წევრით. მოსარჩელე **დავით ნიკოლეიშვილი არჩეული იყო პარტია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' სიით,** ხოლო მოსარჩელეები: გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური - შესაბამისად პარტია „ლელო"-სა და პარტია გახარია საქართველოსთვის სიით.

6.5. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეები სადავოდ ხდიან ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის იმ შინაარსს, რომ **ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს ეკრძალებათ მონაწილეობა მიიღონ სხვა ფრაქციის შექმნაშიც.** მათი აზრით ეს კანონი ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უკრძალავს შექმნან 2 ან მეტი ფრაქცია თავიანთი რიგებიდან, თუმცა არ უკრძალავს სხვა პარტიის წარდგენით არჩეულ

წევრებთან ერთად შექმნან ფრაქცია.

6.6. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ №ას-221-213-2012 გადაწყვეტილებით განმარტა, რომ ,,კანონის განმარტება კანონის ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებას და ტექსტის მნიშვნელობის დადგენას გულისხმობს, შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია, განმარტოს კანონი მაშინ, როდესაც ამისი საჭიროება არსებობს და საკანონმდებლო დანაწესებით პრობლემის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა ვერ ხდება. კანონის ინტერპრეტაციის არსი, კანონის ტექსტის საფუძველზე კანონის აზრისა და მიზნის დადგენაა, რაც სამართლის განვითარების ერთ-ერთი მნიშვენლოვანი საფუძველია. კანონის ინტერპრეტაციის აუცილებლობას კანონში არსებული ხარვეზი განაპირობებს. ასეთი ვითარება მაშინაა როდესაც კანონი პირდაპირ არ იძლევა პასუხს ამა თუ იმ საკითხზე და სასამართლო ხარვეზიანი ნორმის კანონის ტექსტისა და სამართლის ძირითად პრინციპების შეჯერებით ადგენს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დადგენაც კანონმდებელს სურდა - კანონმდებლის მიზანი. ამასთან, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. იმპერატიული ნორმები ასახავენ კანონმდებლის მიდგომას კონკრეტული ქცევის მიზანსა და მიზანშეწონილობაზე. მართლმსაჯულება კანონმდებლის განზრახვას ვერ გასცდება მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და ლეგიტიმური ცვლილებებისათვის კანონში ღია სივრცეა დატოვებული. იმპერატიული ნორმების დადგენის შემთხვევაში კანონმდებელი ქცევის მხოლოდ ამ სახით განხორციელების სავალდებულოობას ადგენს და მათ არსებობას, როგორც წესი, სხვა ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან ერთად საფუძვლად უდევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კერძო სფეროში ნდობის დაცვის პრინციპი.''

სასამართლოს განმარტავს, რომ როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევის სავალდებულო წესს ადგენს, ამით იგულისხმება განსაზღვრული მიზნის მიღწევის სურვილი. კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. კანონის განმარტებისას უნდა დადგინდეს კანონმდებლის ნება და მიზანი. ნორმის განმარტება უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში როდესაც ბუნდოვანია ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობა და ნორმა არ იძლევა პირდაპირ პასუხს კონკრეტულ საკითხზე. იმ შემთხვევაში თუ საკანონმდებლო ნორმა ცალსახად ადგენს რეგულაციას სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ, სავალდებულოა, რომ ეს ურთიერთობა ნორმის შესაბამისად ჩამოყალიბდეს.

6.7. საკრებულოში ფრაქციის შექმნის საკითხი რეგლამენტირებულია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლში, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად **ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს უფლება არა აქვთ, შექმნან ერთზე მეტი ფრაქცია.**

როგორც დასახელებული საკანონმდებლო ნორმის ანალიზი ცხადყოფს 2021 წლის 19 ნოემბერს მიღებული კანონის ახალი რედაქციით საპარლამენტო ფრაქციების შექმნის შესახებ საკონსტიტუციო დებულების მსგავსად(მუხლი 41.3) **აკრძალა, რომ ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა,**

შექმნან სხვა ფრაქცია. ამ შეთხვევაში კანონმდებელმა მნიშვნელობა არ მიანიჭა იმ გარემოებას, დასახელებული წევრები დატოვებენ თუ არა იმ პარტიას, რომლის წარდგენითაც იქნენ არჩეულები. ასევე განმსაზღვრელი არაა ის გარემოება ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები თავად შექმნიან 2 ან მეტ ფრაქციას თავიანთი რიგებიდან, თუ სხვა პარტიის წარდგენით არჩეულ წევრებთან ერთად შექმნიან ერთზე მეტ ფრაქციას.

ამრიგად, კანონმდებელი მკაფიოდ კრძალავს ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეულმა საკრებულოს წევრებმა შექმნან ან სხვას შეაქმნევინონ დამატებით სხვა ფრაქცია. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლის ნებაა ის, რომ ხელისუფლების წყაროს - ხალხის მიერ არჩეულმა დეპუტატებმა თანამოაზრეებთან ერთად უნდა შექმნან მხოლოდ 1 ფრაქცია იმ ხალხის მანდატით, რომელთაც 1 კონკრეტულ პარტიას მისცეს ხმა. აღნიშნული ნორმა ასევე უზღუდავს მრავალი რიცხოვნებით წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიებს ხელოვნურად გაზარდონ ფრაქციების რაოდენობა, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტიდან დამატებითი რესურსების გამოყოფასთან.

კანონის ასეთ განმარტებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ ანალოგიური საკანონმდებლო რეგულაციის პირობებში, 2021 წლის 28 მაისს პარლამენტის რეგლამენტის 228-ე მუხლში ცვლილების შეტანა გახდა საჭირო 1[1] მუხლის დამატებით, რათა დროებით(2024 წლის არჩევნებში არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე) ერთი საარჩევნო სუბიექტის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრებს სხვა პოლიტიკური პარტიის/პოლიტიკური პარტიების ან საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთან/პარლამენტის წევრებთან ერთად შეექმნა ფრაქცია იმ დათქმით, თუ მან დატოვა საარჩევნო ბლოკში შემავალი შესაბამისი პოლიტიკური პარტიის წევრობა. მსგავსი საკანონმდებლო რეგულაცია კი სპეციალურ კანონში „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსში" არ არსებობს.

6.8. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლში მოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის წინაპირობები, კერძოდ დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვევულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებითი დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული აქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

6.9. ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაო აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი არ ექონია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60[1] მუხლით

გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს. შესაბამისად, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით, ვინაიდან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოსარჩელის მიერ გადახდილი სახლემწიფო ბაჟი უნდა დარჩეს ბიუჯეტში.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, 10-ე, მე-12, 22-ე, 23-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის მე-8, 53-ე, 243-244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოსარჩელეების: გივი ჯულაყიძის, კობა ძიძიგურის და დავით ნიკოლეიშვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

2. საქმეზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის. ქ. ქუთაისი, ნიუპორტის ქუჩა №32) სამტრედიის რაიონული სასამართლოს მეშვეობით (მის. ქ. სამტრედია, ძმები ნინუების №1) მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემიდან 14 დღის ვადაში.

მოსამართლე

მურთაზ კაპანაძე